ხელშეკრულება #39

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი

31 ოქტომბერი 2014 წ.

სსიპ **„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზოია ხასიას** სახით, და შპს **„ბაია"** წარმოამდგენელი მისი დირექტორი **ზურაბ არსენიძეს** სახით შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.

5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"**

მიმწოდებელი **შპს „ბაია"**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" ნიშნავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში სასმელები თამბაქო და მონათესავე პროდუქტების **(CPV-15900000)** შესყიდვა.

კერძოდ:

დასახელება	**ერთეული**	**რაოდენობა**	**ფასი**	**ჯამი**
ბაკურიანი 0.5	ცალი	106	0.2542	**26.95**
ლიმონათი ნატახტარი პეტი 1ლ ტარხუნა	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი საფერავი 0 კალ 1ლ	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი ლიმონათი 1ლ პეტი ლიმონი	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი ლიმონათი 1ლ პეტი ლიმონი	ცალი	6	1.0169	**6.1**
ლიმონათი ნატახტარი ატამი 1ლ	ცალი	6	1.0169	**6.1**
ლიმონათი ნატახტარი პეტი 1ლ ტარხუნა	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი კალორია 0 1ლ მსხალი	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი ლიმონათი მსხალი 1ლ	ცალი	6	1.0169	**6.1**
ნატახტარი ლიმონათი 1ლ პეტი ლიმონი	ცალი	5	1.0169	**5.08**
სულ:				**80.83**

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი _ თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #30.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **80** (ოთხმოცი) ლარს და **83** თეთრს დღგ - ს გარეშე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10** სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

55.5 შესყიდვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის **2014 წლის UNICEF საგრანტო დაფინანსებიდან.** (იხილეთ საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეთა რეესტრი,საქართველოს მთავრობასა და

გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდს შორის 1999 წლის 3 დეკემბრის შეთანხმება რაზე დაყრდნობითაც სარგებლობენ უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობები, რომლებიც სარგებლობენ სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ჩათვლის უფლებით დღგ–ისაგან გათავისუფლებით.)

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის საგანი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

8.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

8.4 ინსპექტირებას განახორციელებს ეკონომიკური სამსახურის უფროსი **თამარ მაისურაძე.**

მუხლი 9. მომსახურების მიღება_ჩაბარების წესი

საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

ხელშეკრულების დადების საფუძველი არის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის, ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2014 წლის 30 ნოემბრისა.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი",
საიდ.კოდი: 204 493 262
მის.გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა 200122900

ზოია ხასია
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „ბაია"
საიდ.კოდი: 204 379 225
მის.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი # 30
ს.ს „ლიბერთი ბანკი" – ს მთაწმინდა – კრწანისის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE50LB0113113170530000

ზურაბ არსენიძე
დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. რუსთავი

31 ოქტომბერი 2014 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სასმელები თამბაქო და მონათესავე პროდუქტების **(CPV-15900000)** შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ზოია ხასია
დირექტორი

ზურაბ არსენიძე
დირექტორი